


მ. გიგინეიშვილი

საქართველოს
საბჭოთაო
კულტურის
მინისტრის
სამედიცინო
სამსახურის
სამედიცინო
სამსახურის
სამსახურის



К 8188
1

მელიცინის
მოღვაწენი



გაბრიელ ღამბარაშვილი

საქართველოს
სამედიცინო
გამომცემლობა

თბილისი

1955

მ. გიგინეიშვილი



474
მკ

გაბრიელ ღამბარაშვილი




8188
K
1



საქართველოს სსრ
სამედიცინო გამომცემლობა
თბილისი
1955

1957



პროფ. გ. გ. ლამბარაშვილი (1878 — 1954)



წინასიტყვაობა

გამოჩენილი ქართველი გინეკოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გაბრიელ გრიგოლის ძე ღამბარაშვილი მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ზრუნავდა ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის და პატიოსნად, ენერგიულად ემსახურებოდა მშობლიურ მედიცინას.

იგი ეკუთვნოდა სამკურნალო დარგის პროფესორ-მეცნიერთა იმ სახელოვან პლეადას, რომელსაც ამშვენებენ პ. მელიქიშვილის, სვ. გოგიტიძის, ს. ვირსალაძის, ნ. კახიანის, ს. ამირეჯიბის, ივ. თიკანაძის, ალ. ალადაშვილის, ვ. მოსეშვილის, გრ. მუხაძის, ალ. მაჭავარიანის, მ. ასათიანის, ვ. მუსხელიშვილის, სვ. ყიფშიძის, ს. კანდელაკის, ნ. ყიფშიძის, ბ. ლოლობერიძის და სხვ. სახელები.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უშუალო ხელმძღვანელობით ამ გამოჩენილმა ადამიანებმა საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე სამედიცინო მეცნიერებას ქართულ ენაზე.

თავიანთი დაულალავი შრომით, ჩვენი მედიცინის ამ მოწინავე მუშაკებმა მეცნიერება დაუკავშირეს პრაქტიკას, აღზარდეს სასახელო მოწაფეები და ჩვენს მშობლიურ მედიცინას დიდად გაუთქვეს სახელი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთშიც.

საბჭოთა მედიცინის შესანიშნავი წარმომადგენელი—გაბრიელ გრიგოლის ძე ღამბარაშვილი სამართლიანად ითვლება გინეკოლოგიური და ქალის სასქესო ორგანოთა



ონკოლოგიური მეცნიერების ფუძემდებლად საქართველოში მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ჩაეყარა საფუძველი ჩვენში რენტგენოლოგიასა და ფიზიოთერაპიას. ის იყო არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავშირის მასშტაბით, ქალის სასქესო სფეროს კეთილი და ავთვისებიანი სიმსივნეების სხივური ენერგიით (რენტგენ-რადიუმით) მკურნალობის ერთ-ერთი პიონერი და ორგანიზატორი.

გ. ლამბარაშვილმა იშვიათი ორგანიზატორული ნიჭი გამოიჩინა და სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის გინეკოლოგიური კლინიკის სათავეში მყოფმა დიდი მუშაობა გაშალა, რის შედეგადაც ეს კლინიკა მალე სანიმუშო გახდა და თავისი მოწყობილობით და მუშაობით საბჭოთა კავშირის მოწინავე კლინიკებს გაუტოლდა.

მნიშვნელოვანი მეცნიერული შრომების ავტორი, დიდი მკურნალი, იშვიათი პედაგოგი, სასახელო კადრების აღმზრდელი, დინჯი, თავმდაბალი, ყველასათვის მისაწვდომი. ნამდვილი პატრიოტი თავისი ქვეყნისა, — ასეთი იყო გაბრიელ ლამბარაშვილი.

ქართული საბჭოთა სამედიცინო კულტურისა და მისი პირადი წარმატების წყაროდ გაბრიელ გრიგოლის ძე თვლიდა ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ მეცნიერებისა და ხალხისათვის შექმნილ პირობებს.

ჩვენი მშობლიური მედიცინის შესანიშნავი მოამაგის გ. გ. ლამბარაშვილის მეცნიერული და პრაქტიკული მსოფლმხედველობიდან, მისი ნათელი და ღრმა აზრებიდან ბევრი რამ განაგრძნობს ცხოველმყოფელობას, არ კარგავს ძალას და აქტუალობას ახალ ვითარებაში.

მრავალფეროვანია და შინაარსიანი გ. ლამბარაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ოც წელიწადზე მეტი განუწყვეტლივ ვმუშაობდი გაბრიელ გრიგოლის ძის უშუალო ხელმძღვანელობით და ვიცნობდი მას არა მარტო როგორც გამოჩენილ მეცნიერს, პედაგოგს და მკურნალ ექიმს, არამედ როგორც შესანიშნავ ადამიანსაც.



მისი გარდაცვალების შემდეგ განვიზრახე მოკლე სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევში გადმომეცა გ. ლამბარაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

წინამდებარე შრომაში ცხადია, ამომწურავად არ არის გაშუქებული გამოჩენილი მეცნიერის ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ იგი მაინც გვაძლევს წარმოდგენას გ. ლამბარაშვილზე, როგორც ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეცნიერზე.

მ. ს. გიგინეიშვილი





გაბრიელ ლამბარაშვილი

1878 წლის 12 ივლისს, ქ. გორში, გრიგოლ სიმონის ძე ლამბარაშვილის ოჯახს მეშვიდე შვილი შეეძინა, რომელსაც გაბრიელი დაარქვეს. იგი ექვსი წლისა იყო, როცა გარდაეცვალა მთამაგე დედა—ეკატერინე თადეოზის ასული დათაძე.

პატარა გაბრიელის აღზრდა იკისრა მისმა დიდებულმა—სალომე ნიკოლაძემ. სალომე ახლო ნათესავი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწის და პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის და გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძისა, რომელთა აღზრდაში მან დიდი წვლილი შეიტანა.

ქართული წერა-კითხვა, დედა-ენა, გაბრიელს დიდებულ შეასწავლა. რა სიამოვნებითა და გულისყურით ისმენდა ბავშვი დიდებას მშვენიერი ქართულით ნაამბობ ზღაპრებს! დიდებულმა პატარა გაბრიელს შეასწავლა შოთა რუსთაველის აფორიზმებიც, რომელთა უმრავლესობა მან ზეპირად იცოდა.

გაბრიელი ბავშობაში მეტად ცელქი იყო. უფროსი ძმის—ნესტორის გადმოცემით, პატარა გაბრიელი, როგორც აღმზრდელისა და ოჯახის წევრთა, ისე ოჯახის ახლობლების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა თავისი მახვილგონიერებით.

გაბრიელი ბავშვობაშივე კარგად დაეუფლა მშობლიურ დედა-ენას. მიიღწია თუ არა სასკოლო ასაკს, მამამ იგი გორიდან თბილისში ჩაიყვანა და მიაბარა ვაჟთა მეორე გიმნაზიაში.

ახალმა გარემოცვამ—მასწავლებლებმა და მოწაფეებმა დიდი გავლენა მოახდინეს მასზე. იგი მაშინვე დაეწაფა როგორც პროგრამით გათვალისწინებულ საგნებს, ისე თვითგანვითარების მიზნით—სხვადასხვა წიგნებს. მალე რუსული



გ. გ. ლამბარაშვილი
ახალკურსდამთავრებული გემში
(1907 წ.)



გ. გ. ლამბარაშვილი
მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი
(1900 წელი)



გ. გ. დამბარაშვილი
მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი
(1918 წელი)



ენაც კარგად აითვისა. მოამზადებდა თუ არა გაკვეთილებს, თავისუფალ დროს ანდომებდა ქართული და რუსული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა კითხვას.

გაბრიელმა წარმატებით დაამთავრა გიმნაზია 1899 წელს. როგორც ვიცით, იმ დროს არც საქართველოში, არც მთელ ამიერკავკასიაში უმაღლესი სასწავლებელი არ მოიპოვებოდა.

—რუსეთისაკენ, — მოსკოვს! — გადაწყვიტა ახალგაზრდა გაბრიელმა და 1900 წელს გამოეთხოვა სამშობლოს.


გაბრიელ გრიგოლის ძე მოწაფეობის დროს ძალიან გატაცებული იყო ჰუმანიტარული საგნებით. ალბათ, ამიტომ აირჩია მან იურიდიული ფაკულტეტი, რომლის სტუდენტიც გახდა 1900 წელს.

იმ ხანებში რუსეთის მუშათა კლასი ამზადებდა 1905 წლის რევოლუციას; ამ მუშაობაში ჩაბმული იყვნენ არა მარტო მუშები, არამედ სტუდენტებიც.

მარქსისტული ლიტერატურის კითხვით გათვითცნობიერებული ახალგაზრდა გაბრიელი, როგორც მოსალოდნელი იყო, მოსკოვის უნივერსიტეტის პროგრესული სტუდენტობის ბანაკში აღმოჩნდა. რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის იგი მეფის ჟანდარმერიამ დააპატიმრა და საქართველოში გამოგზავნა.

მას არ აკმარეს უნივერსიტეტის გარეშე დატოვება და როგორც პოლიტიკურად არა საიმედო ელემენტი, გადაასახლეს სოფ. სადახლოში, სადაც ის აყვანილ იქნა მეფის მთავრობის მოხელეთა მეთვალყურეობის ქვეშ. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ინტელიგენტს იმედი არ დაუკარგავს და გულმოდგინედ მუშაობდა თავისი ინტელექტუალური ჰორიზონტის გასაფართოებლად. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის უფლებაჩამორთმეული გაბრიელი სოფელ სადახლოში ეწეოდა მშობლიური ენის მასწავლებლობას. მოწაფეებს იგი ძალიან უყვარდათ და ადგილობრივი მოსახლეობაც დიდად აფასებდა მას.

1902 წელს გაბრიელ გრიგოლის ძემ მოიხადა სასჯელი, რის შემდეგაც, ცხადია, უნდა ეძებნა გზა, რომელიც მას მიიყვანდა ისევ უნივერსიტეტამდე.



მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დაბრუნება შეუძლებელი იყო. ის ოცნებობდა საზღვარგარეთ გამგზავრებაზე, მან მიზნად დაისახა მიელო სამედიცინო განათლება, ხალხში გასვლა და ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა. ამ ოცნების განხორციელება მან შეძლო გულშემატკივართა ენერგიული დახმარებით.

1902 წელს ის აღმოჩნდა უცხოეთში—გერმანიაში.

თავისი ქვეყნიდან სწავლისათვის საზღვარგარეთ წასულ გაბრიელს, ნიჰის გარდა, უდიდესი სურვილი ჰქონდა მეცნიერების დაუფლებისა, რისთვისაც არ ზოგავდა ენერგიას. იგი შედის ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში—სამკურნალო ფაკულტეტზე და იმთავითვე იპყრობს როგორც სტუდენტობის; ისე პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღებას.


ხუთი წლის მანძილზე—1902—1907 წლებში გ. ლამბარაშვილმა მოისმინა სამედიცინო ფაკულტეტის კურსი ბერლინსა, ფრაიბურგსა და ჰაიდელბერგში. ის ისმენდა ისეთი ცნობილი პროფესორების, ლექციებს, როგორებიც იყვნენ: ბუმი, ჰეგარი, ზელჰეიმი, კრონიინგი, მენგე, როსტჰორნი ვალდეიერი, ციგლერი და სხვები.

მეცნიერული მუშაობა მან სტუდენტობის წლებშივე დაიწყო. პირველი შრომა დაწერა 1906 წელს პროფესორ ციგლერის ხელმძღვანელობით „Über Aneurysma der Aorta“, დაიბეჭდა Ziglers Beitrage-ში (1906 წ. 39 გვ.). ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის ამ შრომამ დიდი ინტერესი გამოიწვია და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ინტერესი გამოიწვია აგრეთვე გ. ლამბარაშვილის სტუდენტობის დროინდელმა მეორე შრომამ: „ღვიძლის ჰემატოგენური სიდეროზის შესახებ“ (1907 წ.). ეს შრომა დაწერილია ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის პათოლოგ-ანატომიურ ინსტიტუტში პროფ. ნ. არნოლდის ხელმძღვანელობით.

1907 წელს გაბრიელ გრიგოლის ძემ წარმატებით დაამთავრა სამკურნალო ფაკულტეტის სრული კურსი მედიცინის დოქტორის ხარისხით.

ამით დასრულდა გაბრიელ გრიგოლის ძის სტუდენტობის წლები გერმანიაში. ახლა უკვე მისი ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო.



აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მაშინ ბერლინში ცხოვრობდა ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი—ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც გაბრიელ გრიგოლის ძე ახლოს იცნობდა და მეგობრობდა. ისინი ხშირად მსჯელობდნენ ჩვენი ქვეყნის საქმეებზე და ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ გეგმებს მომავალი მოღვაწეობის შესახებ.

გ. ლამბარაშვილს სრული შესაძლებლობა ჰქონდა დარჩენილიყო საზღვარგარეთ და იქ ემუშავა, მაგრამ, მან, როგორც თავისი ქვეყნისა და ხალხის ერთგულმა პატრიოტმა, სამშობლოში დაბრუნება არჩია, რათა თავისი ცოდნა საკუთარი ხალხის სამსახურში გამოეყენებინა.

ახლად უნივერსიტეტდამთავრებული უკვე მეცნიერული მოღვაწეობის გზაზე შემდგარი, ყოველმხრივ განათლებული ახალგაზრდა მეცნიერი გერმანიაში დიდხანს აღარ დარჩენილა.

* * *

XIX საუკუნის მეორე ნახევარი ხასიათდება რუსეთში გინეკოლოგიური მეცნიერების განვითარებით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი რიგი მეცნიერული და პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში რუსეთის გინეკოლოგიამ წინ გაუსწრო უცხოეთისას.

იმ ხანებში მოსკოვში მოღვაწეობდა გინეკოლოგიური სკოლის ორგანიზატორი და ფუძემდებელი ვ. ფ. სნეგირიოვი (1847—1916).

ვ. ფ. სნეგირიოვისა და მისი მოწაფეების შრომებმა დიდი გავლენა მოახდინა გინეკოლოგიური მეცნიერების განვითარებაზე.

ვ. ფ. სნეგირიოვის კაპიტალური შრომა — „საშვილოსნოს სისხლდენები“ თარგმნილია უცხოურ ენებზე. იგი კლასიკურ შრომად ითვლება და დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ვ. ფ. სნეგირიოვთან ერთად მოღვაწეობდა რუსეთში გინეკოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სახელგანთქმული მეცნიერი, გამოჩენილი გინეკოლოგი ა. პ. გუბარიოვი (1855—1923),



რომელმაც გაამდიდრა გინეკოლოგიური მეცნიერება მრავალი შრომით. აღსანიშნავია მისი კაპიტალური სახელმძღვანელო: „ოპერაციული გინეკოლოგია“.

გ. გ. ლამბარაშვილი გერმანიაში ყოფნის დროს თვალყურს ადევნებდა რუსეთის სამედიცინო მეცნიერების განვითარებას. იგი მოილტვოდა რუსეთისაკენ, რომ მოსკოვში ემუშავნა სახელოვან მეცნიერებთან—ვ. სნეგირიოვთან და ა. გუბარიოვთან, გაემდიდრებინა ცოდნა, მიეღო პრაქტიკა, ფართოდ გაეშალა თავისი მეცნიერული შესაძლებლობანი.


1908 წელს იგი უკვე მოსკოვშია. არსებული წესის თანახმად, მას, როგორც უცხოეთში სწავლადამთავრებულს, მოსკოვის უნივერსიტეტში უნდა ჩაებარებინა გამოცდა, რის შემდეგაც მიიღებდა ექიმის წოდებას. რა თქმა უნდა, მან წარმატებით ჩააბარა გამოცდები.

სახელგანთქმული პროფესორი ა. პ. გუბარიოვი შეიქნა გაბრიელის უშუალო ხელმძღვანელი. გაბრიელის დახელოვნებას გინეკოლოგისა და ონკოლოგიაში ხელი შეუწყო რუსეთის გინეკოლოგიური მეცნიერების დიდმა წარმომადგენელმა ვ. ფ. სნეგირიოვმა.

ენერგიული, დაუღალავი მუშაობის შედეგად გ. ლამბარაშვილი წარმატებით ეუფლება მეანობა-გინეკოლოგიას და 1912 წელს იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „К вопросу о влиянии экстракта яичников на сосудистую систему и его отношение к gl. thyreoidea“. თავის ნაშრომში მან გაატარა აზრი, რომ „საკვერცხის ექსტრაქტები იწვევს სისხლის წნევის მომატებას და პულსის შენელებას, რომ „ოვარიალური ჰორმონები შესწავლილი უნდა იქნეს შინაგანი სეკრეციის ორგანოებთან დაკავშირებით.“

1912—17 წლამდე გ. ლამბარაშვილი მოსკოვის უნივერსიტეტის სამეანო-გინეკოლოგიური კათედრის პრივატ-დოცენტი და ამავე დროს მუშაობს მოროზოვის სახელობის სიმსივნეების ინსტიტუტში განყოფილების გამგის თანამდებობაზე. 1917—20 წლებში გ. ლამბარაშვილი მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორია.

მოსკოვში ცხოვრებისა და მუშაობის დროს გაბრიელ გრიგოლის ძე არ შემოფარგლულა მარტო მეცნიერული



გ. ბ. დამბარაშვილის მასწავლებლები — პროფ. ვ. ფ. ს ნ ე გ ი რ ი დ ე ი და პროფ. ა. პ. გ ლ ბ ა რ ი დ ე ი.



ქალის სასქესო ორგანოების კიბოსთან მებრძოლი პირველი კომიტეტის შემაღენლობა (1915 წ.).
სხედან (მარჯვნიდან): ა. გუბაროვი, პროფ. ნ. ბერეზოვი, პროფ. ვ. სნეგოროვი,
პროფ. ა. ბიკოვი, პროფ. დ. ბობროვი, პროფ. ე. ჩერვინსკი; დგანან: გ. გ. ღამბა-
რაშვილი, პროფ. ნ. ნინიუკოვი, პროფ. კ. ვასილიევი.





მუშაობითა და სამკურნალო პრაქტიკით. იგი დაინტერესებული იყო საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საკითხებითაც. მაგალითად, იგი როგორც ნამდვილი გულშემატკივარი თავისი ქვეყნისა, გვევლინება ქართული კულტურისა და მეცნიერების ერთგულ პროპაგანდისტად.

გ. ლამბარაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით ქ. მოსკოვში ქართულ ენაზე გამოიცა პოპულარული ბროშურები და ბაქტერიოლოგიური ატლასი. მისი უშუალო მონაწილეობით მოსკოვში დაარსდა ბუნებისმეტყველთა ქართული სამეცნიერო საზოგადოება, რომელსაც იგი თბილისში დაბრუნებამდე ხელმძღვანელობდა. 1917 წელს, ქ. მოსკოვში, გ. ლამბარაშვილმა გამოსცა ქართული სამეცნიერო საზოგადოების სამკურნალო სექციის კრებული „მიკრობები ვადამდები სატკივრებისა“, რომლის შინაარსი მაღალ დონეზე იდგა და მასში მოთავსებული იყო ფერადი ილუსტრაციები.

გარდა ამისა, გ. ლამბარაშვილი ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელთაგანია მეჩნიკოვის სახელობის სამეცნიერო საზოგადოებისა ქ. მოსკოვში.

გაბრიელ გრიგოლის ძე მოსკოვში ყოფნის დროს თანამშრომლობდა მაშინდელ ქართულ პრესაში და წერილებს და მოხსენებებს უგზავნიდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს.

1916 წელს, მან ქართული გაზეთის საშუალებით წამოაყენა საკითხი საქართველოში ექიმთა საზოგადოების დაარსების შესახებ. წერილს დართული ჰქონდა მისი ფოტოსურათიც. ლამბარაშვილის აზრით, საზოგადოებასთან უნდა ჩამოყალიბებულიყო „ახლად სწავლადამთავრებულ ექიმთათვის განმეორებითი კურსები“ (მხედველობაშია ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი). იგი მიზანშეწონილად თვლიდა აგრეთვე საზოგადოებასთან საავადმყოფოს დაარსებას, რაც წყარო იქნებოდა ექიმთა საზოგადოების შესანახად. „ერთი სიტყვით, თავი და თავია ქართველ ექიმთა ორგანიზაციულად შეკავშირება; საზოგადოების არსებობის საშუალების გამონახვა თვით ექიმებს შეუძლიათ“, — წერს გ. გ. ლამბარაშვილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებამდე ჩვენი ახალგაზრდობა უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთში ან უცხოეთში მიდიოდა. ეს დაკავშირებული იყო ძალიან



დიდ ხარჯებთან და, რასაკვირველია, ნაკლებ მისაწვდომიც იყო სწავლამოწყურებული ნიჭიერი ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობისათვის.

ვინ იცის სიღარიბემ, უსახსრობამ, რამდენი ახალგაზრდა კაცის ნიჭი ჩააქრო და მიჩქმალა.

ბევრი მოწინავე ქართველი ოცნებობდა თბილისში უნივერსიტეტის დაარსებაზე, მაგრამ იმ დროს, მეფის რეჟიმის პირობებში, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.


მეფის მთავრობის გარდა, თბილისში უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგ ილაშქრებდა ზოგიერთი „გულშემატკივარიც“.

მოგუსმინოთ ივანე ჯავახიშვილს:

„რამდენი იყო ჩვენში 1917 წელს, მაშინ, როდესაც ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაზე მსჯელობა სწარმოებდა, ისეთი განათლებული ქართველი, რომელსაც ან მთელი ეს კამათი სასაცილო გულუბრყვილობად მიაჩნდა, ანდა მის გაგონებაზე ღიმილი მოსდიოდა, რამდენი გვეყავდა ბრძენი დამრიგებელნი, ჭკვის მასწავლებელნი და წინასწარმეტყველნიც კი, რომელნიც, მათი ღრმა რწმენით, სრულებით უნიადაგო და უიმედო განზრახვისაგან ხელის აღებას გვირჩევდნენ. ისეთებიც ხომ იყვნენ მათ შორის, მეცნიერებიც კი, რომელთაც მთელი ეს გეგმა და დაწყებული საქმე თვით ქართველებისათვისაც და მღუპველად ჰქონდათ პრესაშიც კი აღიარებული“.

მენშვეიკური მთავრობა სრულიად არ ზრუნავდა ქართული კულტურის აყვავებისათვის, ამიტომ უნივერსიტეტის დაარსების საქმეს კერძო საზოგადოება ჩაუდგა სათავეში.

1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარები და ჩვენმა ახალგაზრდობამ პირველად მოისმინა ლექციები ქართულ ენაზე. უნივერსიტეტი გაიხსნა ყოფილი ქართული გიმნაზიის შენობაში, რომელიც იმ თავითვე დიდი საზოგადო მოღვაწის ნიკო ცხვედაძის მიერ გამიზნული იყო მომავალი უნივერსიტეტისათვის. უნივერსიტეტის პირველ რექტორად არჩეულ იქნა ცნობილი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი.



ამრიგად, ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება, რომ თბილისში უნივერსიტეტი გახსნილიყო—უკვე სინამდვილედ იქცა.

მშობლიურ უნივერსიტეტში მუშაობის მიზნით 1920 წელს საქართველოში ჩამოვიდა უკვე სახელმძღვანელო, 42 წლის ასაკის პროფესორი გაბრიელ ღამბარაშვილი. იმავე წლის 15 ოქტომბერს იგი არჩეულ იქნა თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური გინეკოლოგიური კლინიკის გამგედ.

გ. გ. ღამბარაშვილი პირველი შესავალი ლექციით წარსდგა უნივერსიტეტში ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე 1920 წლის 25 ოქტომბერს. ლექციას ესწრებოდნენ სტუდენტები, მასწავლებლები, ექიმები, პროფესორები, აგრეთვე გარეშე საზოგადოება. ლექცია მან წაიკითხა ქართულ ენაზე.

იგი შეეხო გინეკოლოგიის საკითხებს, მის მეცნიერულ საფუძვლებს. აღნიშნა რუსული გინეკოლოგიის დიდი დამსახურება და ილაპარაკა ჩვენში გინეკოლოგიის განვითარების გზებზე. მან კონკრეტული ამოცანები დაუსახა საქართველოში ახლად ჩამოყალიბებულ გინეკოლოგიურ კლინიკას.

ლექცია მეტად საინტერესო იყო. პროფესორის თვითნებური სიტყვა აღწევდა მსმენელამდე; მაშინვე აშკარა გახდა ყველასათვის, რომ ჩვენს სამედიცინო მეცნიერებას ჰყავდა დიდი ძალა, რომელიც ეზიარა რუსულ და საზღვარგარეთის სამედიცინო მეცნიერებას და დიდი ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებული დაუბრუნდა სამშობლოს.

აღსანიშნავია, რომ გაბრიელ გრიგოლის ძემ თავისი ლექცია დაამთავრა ჩვენი სასიქადულო მწერლის ილია ჭავჭავაძის შემდეგი სიტყვებით:

„მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამონატულების ვარჯიშობისაგან, რომ იგინი იზადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების მეოხებით და მერე თვითონ მიჰყავთ ცხოვრება წინა; რომ რაც მაგათგან არის მოყვანილი ცნობაში, მხოლოდ ის გადადის ხალხში და მხოლოდ იგი სცვლის ხალხის მდგომარეობას.“



მის შემდგომ ლექციებსაც დიდი ინტერესით ისმენდა აუღუტორია. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ 1920 წელს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ პროფ. გ. გ. ლამბარაშვილს მიანიჭა ზოგადი პათოლოგიის კათედრის გამგებლობა ლექციების კითხვით. 1920 წლიდან 1954 წლამდე პროფ. გ. ლამბარაშვილს ლექციები მოუსმინა მეანობასა, გინეკოლოგიასა და რენტგენოლოგიაში 12400 სტუდენტმა და ექიმმა.

კლინიკას 50 გინეკოლოგიური საწოლი ჰქონდა (ამჟამად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი). 1925 წლიდან კლინიკას დაემატა 15 სამეანო საწოლი და ამრიგად, იგი გადაკეთდა სამეანო-გინეკოლოგიურ კლინიკად. ასეთი ღონისძიება ნაკარნახევი იყო სტუდენტთა და ექიმთა აღზრდისა და სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობის გაუმჯობესების საჭიროებით.

კლინიკის თანამშრომლები ლამბარაშვილის ხელმძღვანელობით შეუდგნენ კლინიკის ორგანიზაციას ისე, როგორც ამას მოითხოვდა გინეკოლოგიური მეცნიერების მიღწევები და ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მზარდი ამოცანები. სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის ფართოდ გაშლის მიზნით, კლინიკაში სულ მოკლე დროში ჩამოყალიბდა კლინიკურ-დიაგნოსტიკური და ჰისტო-პათომორფოლოგიური ლაბორატორიები, რომლებიც გ. ლამბარაშვილის ინიციატივით, მთავრობისა და პარტიის დიდი დახმარების შედეგად სანიმუშოდ იყო მომარაგებული და მოწყობილი საუკეთესო აპარატებითა და მასალით.

ავადმყოფის ყოველმხრივი შესწავლის მიზნით, ჩვეულებრივი კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევების გარდა, აქ ხდებოდა რთული რეაქციების წარმოება; ამავე დროს, ექსპერიმენტული სამეცნიერო მუშაობისათვის კლინიკასთან ორგანიზებული იყო ვივარეუმი. კლინიკასთან ჩამოყალიბებულ იქნა აგრეთვე ფიზიოთერაპიული კაბინეტი.

1924 წელს გ. ლამბარაშვილის თაოსნობით გაიხსნა პირველი რენტგენოლოგიური განყოფილება თერაპიული და დიაგნოსტიკური აპარატებით. თერაპიული რენტგენის აპარატი პირველი იყო თბილისში. კლინიკაში ორგანიზებულ იქნა



აგრეთვე ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობა რადიუმით, რაც სრულიად ახალ საქმეს წარმოადგენდა საქართველოში აღნიშნული განყოფილება ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იყო არა მარტო თბილისში, არამედ საბჭოთა კავშირშიც. ამ განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდა რენტგენოლოგიის დოცენტურა, ხოლო შემდეგ დამოუკიდებელი კათედრა, რომელსაც გ. გ. ლამბარაშვილი ედგა სათავეში 1934 წლამდე.


საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მეანობა-გინეკოლოგია, როგორც მეცნიერული დისციპლინა, არ არსებობდა. სრულიად მოუგვარებელი იყო სამეანო დახმარების საქმეც.

*
*
*

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე საქართველოში სპეციალურად მომზადებული მეან-გინეკოლოგები არ ყოფილან; სამეანო დახმარებას ეწეოდნენ სახალხო ექიმები და სამედიცინო განათლებას მოკლებული ბებია-ქალები. პათოლოგიური მშობიარობის შემთხვევაში ამა თუ იმ ოპერაციის გასაკეთებლად (ნაყოფის მობრუნება, ნაყოფის ნაწილ-ნაწილად გამოტანა, პლაცენტის მოცილება და სხვ.) იწვევდნენ უვიც პირებს—მწყემსებსა და დალაქებს.

მშობიარობა ტარდებოდა ბინებზე, ვინაიდან ქალაქებშიც კი თითქმის არ იყო სამშობიარო სტაციონარები.

1873 წელს ქ. თბილისში დაარსდა სამშობიარო დახმარების კერძო დაწესებულება ქალთათვის სამეანო დახმარების აღმოჩენის მიზნით. შემდეგში ის გადაკეთდა ოლლას სახელობის სამეანო ინსტიტუტად. იგი არ წარმოადგენდა უმაღლეს სასწავლებელს ან სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს, არამედ იყო ჩვეულებრივი სამკურნალო დაწესებულება. ამავე ინსტიტუტთან 1875 წელს გაიხსნა სამეანო სკოლა, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა საშუალო სამეანო ცოდნით აღჭურვილი პერსონალის მომზადება ადგილობრივი ახალგაზრდობიდან. 1885 წელს ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის სამეანო-გინეკოლოგიური საზოგადოება, 1896 წელს ე. მ. სობესტიანსკის (1867—1941 წ.) ინიციატივით გაიხსნა 35 საწოლიანი პირველი გინეკოლოგიური განყოფილება ამიერკავკასიაში.



ამ განყოფილებაში ორი წლის მუშაობის შემდეგ ე. მ. სობესტიანსკი გადაყვანილ იქნა ამიერკავკასიის ოლლას სახელობის სამეანო ინსტიტუტში სამეანო განყოფილების გამგედ.


1912 წელს ე. მ. სობესტიანსკი დაინიშნა სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის დირექტორად.

ერთდროულად, 1912 წ. გინეკოლოგიური განყოფილების გამგედ დაინიშნა ი. ნ. თუმანიშვილი (1867—1950 წ.), რომელიც 1950 წლამდე შეუცვლელად მუშაობდა ამ თანამდებობაზე.

პროფ. ე. მ. სობესტიანსკი და პროფ. ი. ნ. თუმანიშვილი ვეველინებიან როგორც საზოგადოებრივი მოღვაწენი, პედაგოგები, მეცნიერი მუშაკები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორები, ბრწყინვალე კლინიციისტები და დასტაქრები. ამ ინსტიტუტში გაატარეს მათ თავიანთი ხანგრძლივი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი წლები.

1912 წელს სამეანო ინსტიტუტის სამეანო განყოფილების გამგედ დაინიშნა ი. ი. მეფისაშვილი (1863—1940 წ.), რომელიც მუშაობდა 1940 წლამდე.

სამეანო ინსტიტუტი იყო პირველი კერა, რომელმაც მნიშვნელოვანი რაოდენობით მოამზადა როგორც საშუალო სამეანო-გინეკოლოგიური ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები, ისე რიგი მაღალკვალიფიციური ექიმები; ამგვარად, ამიერკავკასიის ოლლას სახელობის სამეანო ინსტიტუტმა გარკვეული როლი შეასრულა კადრების მომზადების საქმეში. გარდა ამისა, საქართველოში სამეანო-გინეკოლოგიური დახმარების საქმეს ემსახურებოდა თბილისის რკინიგზის სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილება, რომლის გამგედაც იყო ვ. ა. ზაკრჟევსკი (1864—1953 წ.). იგი ორდინატორად მუშაობდა ლამბარაშვილთან 1920—1921 წლებში. ვ. ა. ზაკრჟევსკი 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში განაგებდა ზემოაღნიშნულ განყოფილებას და დიდ მუშაობას ატარებდა იქ, როგორც კადრების აღმზრდელი, შესანიშნავი კლინიციისტი და დასტაქარი.



სამეანო-გინეკოლოგიურ დაწესებულებათა რიცხვში ითვლებოდა აგრეთვე ქალაქის პირველ საავადმყოფოსთან არსებული სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილება, სამხედრო ჰოსპიტალთან არსებული გინეკოლოგიური განყოფილება, კერძო სამეანო-გინეკოლოგიური საავადმყოფო (შახპარონიანის); სამეანო-გინეკოლოგიური სტაციონარები მოქმედებდნენ აგრეთვე ქუთაისსა, ბათუმსა, სუხუმსა, ჭიათურასა და ფოთში, ხოლო საქართველოს დანარჩენი ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობა სრულიად მოკლებული იყო სამეანო-გინეკოლოგიურ დახმარებას.

მეანობა-გინეკოლოგიის წინსვლას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის შედეგად არსებითად გარდაიქმნა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე.

1918 წელს დიდმა ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლითაც დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა სახელმწიფოებრივ საქმედ იქნა აღიარებული. ამ ისტორიული დადგენილების საფუძველზე ჩვენში 1921 წლიდან ფართოდ გაიშალა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია.

ამ დროიდან საქართველოშიც მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად სამედიცინო მეცნიერებაც გაუგონარი ტემპით წავიდა წინ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიეცა ფართო გასაქანი მეცნიერებას და მეცნიერებს. პარტიამ და მთავრობამ ყოველგვარი პირობები შეუქმნეს მედიცინის მუშაკებს ნაყოფიერი მუშაობისათვის.

გ. ლამბარაშვილის მუშაობამაც, როგორც მეცნიერების დარგში, ისე საზოგადოებრივ სარბიელზე, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჰპოვა ფართო გასაქანი და ჯეროვანი შეფასება.

1921 წელს მთავრობისა და პარტიის დავალებითა და დახმარებით გ. ლამბარაშვილმა მოაწყო ფიზიო-თერაპიული ინსტიტუტი, რომელსაც ის თექვსმეტი წლის მანძილზე ედგა სათავეში. იმავე წელს გ. ლამბარაშვილის უშუალო ინიციატივით, მისდამი რწმუნებულ კლინიკასთან, სამეანო-გინე-



კოლოგიური ინსტიტუტის ბაზაზე მოეწყო ქალთა პირველი
ონკოლოგიური განყოფილება 12 საწოლით.

მეცნიერული მეან-გინეკოლოგიური კულტურის დანერ-
გვის საქმეში გ. ლამბარაშვილი მარტო არ ყოფილა. ჯერ კიდევ
1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურ-
ნალო ფაკულტეტის სამეანო კლინიკას სათავეში ჩაუდგა
გამორჩენილი მეან-გინეკოლოგი ი. ე. თიკანაძე.

გ. ლამბარაშვილისა და ი. თიკანაძის ერთობლივი და შე-
თანხმებული მუშაობით დაიწყო მეან-გინეკოლოგიური
საქმის სწრაფი განვითარება ჩვენში. მათ პირველებმა აამე-
ტყველეს ქართულ ენაზე მეცნიერული მეან-გინეკოლოგიური
ლიტერატურა და სათავეში ჩაუდგნენ არა მარტო მეცნიე-
რულ, არამედ პრაქტიკულ მუშაობასაც ამ დარგში.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოკლედ შევეხოთ ი. თიკანაძის
მოღვაწეობას.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მეცნიერული მეა-
ნობა-გინეკოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართვე-
ლოში პროფესორი ივანე თიკანაძე ეკუთვნის ქართველ მეც-
ნიერთა იმ სახელოვან პლეადას, რომელსაც ფასდაუდებელი
ამაგი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და
მისი სამკურნალო ფაკულტეტის ორგანიზაციის საქმეში.

ივანე თიკანაძე დაიბადა 1868 წელს ქ. მახარაძეში. უმაღ-
ლესი, სპეციალური სამეანო-გინეკოლოგიური განათლება
მიიღო პეტერბურგში. სადოქტორო დისერტაცია დაიცვა
1897 წელს. იგი მუშაობდა და თავის ცოდნას აღრმავებდა
ისეთ გამორჩენილ რუს მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ:
ლებელფი, ოტი, პოპოვი, ფეოდოროვი და სხვები.


ი. თიკანაძის ნიჭის გაფურჩქვნასა და საერთოდ მის მუ-
შაობას ხელს უშლიდა მეფის დახმავებული წყობილება. მის
მეცნიერულსა და პრაქტიკულ მოღვაწეობას ფართო გასაქანი
მიეცა მხოლოდ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევო-
ლუციის შემდეგ.

იგი სათავეში ჩაუდგა თბილისის უნივერსიტეტის სამეა-
ნო-გინეკოლოგიურ კლინიკას დღიდან მისი დაარსებისა,
ე. ი. 1919 წლიდან და 1942 წლამდე ხელმძღვანელობდა მას.



გ. ღ. ღამბარაშვილი და მისი თანამშრომლები (1929 წ.). სტუდანი (მარჯვნიდან მარცხნივ): ლ. გ. ელიაშვილი, გ. ა. ცუგარელი, გ. პ. ნაზარიშვილი, გ. გ. ღამბარაშვილი, მ. ფ. მგალობლიშვილი, ინიკერი ა. გრიგორიანი. დგანან: კ. ღვლაძე. კ. მაქაცარია, შ. დავითაშვილი, ა. გვერდწითელი, ა. უსტიანიშვილი, გ. აბრამიშვილი, ა. სვანიძე, ნ. ციციშვილი.






ივ. თიკანაძე მისთვის ჩვეული ენერჯითა და გულმოდგინებით აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების დაარსებაში. 1918 წელს ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ ივ. თიკანაძე პ. მელიქიშვილთან, ი. ჯავახიშვილთან, გ. მუხაძესთან, ს. ვირსალაძესთან და სხვებთან ერთად აირჩია უნივერსიტეტის სამკურნალო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დამაარსებელ კომისიაში, მათი გეგმითა და უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ეს ფაკულტეტი.

ივ. თიკანაძის კალამს ეკუთვნის 70-ზე მეტი შრომა. ეს შრომები ეხება მეანობა-გინეკოლოგიის და ენდოკრინოლოგიის აქტუალურ საკითხებს და მათ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. სტუდენტებსა და ექიმებს მან მშობლიურ ენაზე მიაწოდა პროფ ნ. ი. პობედინსკის კლასიკური სახელმძღვანელო მეანობაში, რომელიც მის მიერ იყო თარგმნილი და შეგვსებული. ივ. თიკანაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის შექმნაში, მან ბევრი ქართული სამედიცინო ტერმინი შექმნა, კერძოდ—სიტყვა „მეანობა“, რომელიც დაამყარა ხალხში ხმარებულ ტერმინს „დედამანიას“, რასაც გურიაში ბებია-ქალს უწოდებდნენ. მისი ხელმძღვანელობით გამოქვეყნებულია სამასზე მეტი მეცნიერული შრომა, აქედან რამდენიმე სადოქტორო და ათეული საკანდიდატო დისერტაცია.

კლინიკაში მან შემოიღო ავადმყოფთა მკურნალობის დამზოგველი, ორსულთა ტოქსიკოზების, სამეანო ტრავმატიზმის, ლოკინობის ხანისა და ოპერაციის შემდგომი პერიოდის დაავადებათა პროფილაქტიკის წესები; მის მიერ მოწოდებულია აგრეთვე ჰიპოტონიურ და ატონიურ სისხლდენასთან ბრძოლის ქირურგიული წესი, საშვილოსნოს არტერიაზე საშოსმხრივი თანგების დადება, რამაც ფართო გავრცელება მოიპოვა.

ივ. თიკანაძე ხელმძღვანელობდა თბილისში ქალთა პირველი კონსულტაციის დაარსებას.

მან პირველმა აღიმაღლა ხმა აბორტის მავნეობის შესახებ; ის ჯერ კიდევ 1925 წელს წერდა: „ჩანასახი არ შეადგენს



დედის სხეულის ნაწილს, არც მის საკუთრებას, იგი ცალკე არსებაა და წარმოადგენს სახელმწიფოებრივი ღირებულების საგანძურს, ამიტომ მისი სიცოცხლის მოსასპობად მიმართული ყოველი მოქმედება დანაშაულად უნდა ჩაითვალოს“....

ივ. თიკანაძემ კადრების მომზადების საქმე მაღალ დონეზე დააყენა; იგი ახალგაზრდებში ნერგავდა სწავლისა და მეცნიერებისადმი სიყვარულს და სასტიკად ებრძოდა მეცნიერებაში ყოველგვარ ზერელობას, ქედმაღლობას.

ივ. თიკანიძის მიერ აღზრდილია მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან ხალხის ჯანმრთელობის საქმეს. მისი მოწაფეებიდან აღსანიშნავია პროფესორები: ე. შალამბერიძე, ა. ახვლედიანი, ბ. კობალეიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვლ. კუჭაიძე, გ. ლორთქიფანიძე, მ. არჯევანიძე და სხვ.

როგორც ცნობილი მეცნიერი, ი. თიკანაძე საპატიო წევრი იყო მოსკოვის, ხარკოვის, კიევის მეან-გინეკოლოგთა საზოგადოებებისა.

საბჭოთა ხელისუფლებამ დიდად დააფასა ივ. თიკანიძის ნაყოფიერი მოღვაწეობა და 1938 წელს მიანიჭა მას მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ივ. თიკანაძე გარდაიცვალა 1943 წლის 23 დეკემბერს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ათეული წლების მანძილზე ი. თიკანაძე და გ. ლამბარაშვილი ხელიხელჩაკიდებულნი მუშაობდნენ ჩვენი სამედიცინო კულტურის აღმავლობისათვის.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისპირველი დღიდანვე, მისმა რექტორმა პ. მელიქიშვილმა მიმართა სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს მოწოდებით: „უმწიკვლო, უანგარო შრომა და სამსახური მშობლიური მეცნიერების ტაძარში“...

...და აი სწორედ უმწიკვლო შრომით გატაცებული პროფ. გ. ლამბარაშვილი შეუდგა 1923 წელს უნივერსიტეტის პირველი პრორექტორის თანამდებობის შესრულებას. ამ სამუშაოზე მან გამოავლინა თავისი კარგი ადმინისტრაციული ნიჭი.



როგორც პედაგოგი, იგი გასაგები, მისაწვდომი იყო, მის შინაარსით სავსე ლექციებს დიდი ინტერესით ისმენდნენ როგორც სტუდენტები, ისე ექიმები.

აღსანიშნავია გაბრიელ გრიგოლის ძის არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა, იშვიათი კოლეგიალობა მუშაობაში. ამიტომ უყვარდათ იგი და პატივს სცემდნენ მას. იგი სარგებლობდა დიდი პოპულარობით, როგორც მასწავლებელი და კლინიცისტი. ავადნყოფის საწოლთან ის იყო შეუდარებელი დიაგნოსტი და მკურნალი, დახელოვნებული ოპერატორი—აუღელვებელი და დინჯი.

გ. ღამბარაშვილს საოპერაციო დღე გამოყოფილი არ ჰქონდა, მაგრამ საჭიროების მიხედვით კვირაში ატარებდა ხუთ რთულ ოპერაციას; ის ერთნაირი სიღინჯითა და პასუხისმგებლობით უდგებოდა როგორც რთულ, ისე მარტივ ოპერაციას. ვერავინ იტყვის, რომ ოპერაციების დროს მას გული მოსვლოდეს რამეზე, გაჯავრებულყოფს. ყველა ოპერაცია კლინიკაში პირველი საათისათვის დამთავრებული იყო. შემდეგ იგი იწყებდა ჯერ სტაციონარული ავადმყოფების შემოვლას, ხოლო შემდეგ დასაწვენი ავადმყოფების გასინჯვას.

*
* *
*

გაბრიელ გრიგოლის ძე ღამბარაშვილი 34 წლის განმავლობაში სათავეში ედგა სამეანო-გინეკოლოგიურ კათედრას. გარდა ამისა, მთელი რიგი წლების მანძილზე სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებდა სამკურნალო კომბინატის გინეკოლოგიურ განყოფილებაში და ონკოლოგიურ საავადმყოფოში. პირადად მის მიერ შესრულებულია მთელი რიგი რთული სამეანო და გინეკოლოგიური ოპერაციები: საშვილოსნოს მთლიანი საშოსმხრივი ამოკეთა—145 შემთხვევაში; საშვილოსნოს მთლიანი ამოკვეთა მუცლის მხრიდან—163 შემთხვევაში; საშვილოსნოს გაფართოებული რადიკალური ამოკვეთა მუცლის მხრიდან საშვილოსნოს ყელის კიბოს გამო—83 შემთხვევაში; საშვილოსნოს სუბრავაგინალური ამპუტაცია—270 შემთხვევაში; საშვილოსნოს სრული

გამოვარდნის დროს interpositio uteri vesico-vaginalis—
227 შემთხვევაში, საშვილოსნოსგარე ორსულობის გამო—
142 შემთხვევაში; ხელოვნური საშოს შექმნა ბალდვინის
წესით—6 შემთხვევაში; ხელოვნური საშოს შექმნა საკუთარი
წესით—5 შემთხვევაში; ventrofixatio uteri საშვილოსნოს
დევიაციების დროს სხვადასხვა წესით—180 შემთხვევაში;
საკვერცხის ცისტომების ამოკვეთა—110 შემთხვევაში; ოპე-
რაციები დანამატებზე—83 შემთხვევაში; საკეისრო კვეთა—
56 შემთხვევაში და მთელი რიგი სხვა სამეანო და გინეკო-
ლოგიური ოპერაციები.

უკანასკნელ წლებში მთელი რიგი რთული და მარტივი
სამეანო და გინეკოლოგიური ოპერაციები იქნა შესრულებუ-
ლი მისი უშუალო ხელმძღვანელობით მისი მიერ აღზრდილი
მოწაფეების მიერ.

გ. ლამბარაშვილი სიფხიზლითა და სიყვარულით ეპყრობო-
და კადრების აღზრდისა და შერჩევის საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ ის იყო თავისი მოწაფეების კარგი შემ-
ფასებელი და ამიტომ იგი ყოველთვის სწორად, სამართლიან-
ად აწინაურებდა ხოლმე მათ.

პროფ. ლამბარაშვილმა დაუღალავი შრომით და მზრუნვე-
ლობით გამოზარდა მეან-გინეკოლოგთა მთელი პლეადა.
მის მოწაფეთა შორის აღსანიშნავია პროფ. მ. მგალობლი-
შვილი.

პროფესორი მიხეილ ფილიპეს ძე მგალობლიშვი-
ლი დაიბადა 1887 წელს.

1910 წელს დაამთავრა სამკურნალო ფაკულტეტი ქ. ვენა-
ში. 1914—1918 წ. მუშაობდა ქართული მეცნიერული ქირურ-
გიის ფუძემდებელ პროფ. გ. მ. მუხაძესთან, ამავე დროს
იყო ორდინატორად სამეანო ინსტიტუტში. 1919 წლიდან
იგი მუშაობდა თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს სამეანო-
გინეკოლოგიური განყოფილების გამგედ.

1920 წ. იგი მიიწვია პროფესორმა გ. ლამბარაშვილმა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულ-
ტეტის გინეკოლოგიური კლინიკის უფროს ასისტენტად.



1925 წელს მ. მგალობლიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საშვილოსნოს ფიბრომიომების ეტიოლოგიისა და მკურნალობის საკითხისათვის.“

დააგროვა რა კლინიკური და ოპერაციული მასალები, საკვერცხეების ქსოვილის ზუსტი ჰისტოლოგიური გამოკვლევების შედეგად მან დაამტკიცა, რომ საშვილოსნოს ფიბრომიომების მიზეზი მდგომარეობს საკვერცხეების წვრილ კისტოვან გადაგვარებაში, რაც სასქესო ჯირკვლების ჰორმონალურ დისფუნქციაზე მიგვიითივებს.

1926 წელს იგი სამეცნიერო მიზნით მივლინებულ იქნა გერმანიასა და საფრანგეთში. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ იგი უფროსი კურსის სტუდენტებს უკითხავდა ლექციებს გინეკოლოგიიდან.

1930 წელს მ. მგალობლიშვილი აირჩიეს პროფესორად. მას მიენდო სამკურნალო-პროფილაქტიკურ ფაკულტეტზე ქალის ბიოლოგიისა და პათოლოგიის სავალდებულო კურსის წაკითხვა.

მ. მგალობლიშვილი გარდაიცვალა ტვინში სისხლის ჩაქცევით 1931 წელს, 27 თებერვალს—სამეანო ოპერაციის დროს.

გაბრიელ გრივოლის ძის მოწაფეებს შორის მგალობლიშვილი ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც თავისი მასწავლებლის მსგავსად, სამკურნალო და პედაგოგიური მოღვაწეობის დროს ყველა საკითხს დიდი სერიოზულობით ეპყრობოდა და თავის მრავალფეროვან მოღვაწეობას უქვემდებარებდა მშრომელი ხალხის ინტერესებს.

გ. ლამბარაშვილის მოწაფეები არიან აგრეთვე ჩვენი ცნობილი მეან-გინეკოლოგები: პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პ. შუშანიანი—განაგებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სამეანო-გინეკოლოგიურ კათედრას; პროფესორი ლ. ელიაშვილი, რომელიც ამჟამად განაგებს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიურ კათედრას; პროფესორი ა. უსტიანი—ხელმძღვანელობს თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარული და პედიატრული ფაკულტეტის სამეანო-გინეკოლოგიურ კათედრას; პროფე-

სორი გ. ნაზარიშვილი — განაგებს თბილისის ექიმთა და ხელოვნების ინსტიტუტის რენტგენოლოგიის კათედრას; პროფ. მ. პაპიტაშვილი — 1929—1931 წლებში მუშაობდა კლინიკის ასისტენტად გ. გ. ლამბარაშვილთან, შემდეგ პ. გ. შუშანიასთან — დოცენტად, ამჟამად მუშაობს თბილისში დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის რესპუბლიკურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გინეკოლოგიური განყოფილების გამგედ.

გ. გ. ლამბარაშვილის მოწაფეებიდან აღსანიშნავია აგრეთვე საკავშირო სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფ. ა. ე. პროზოროვი, რომელიც მუშაობდა გ. გ. ლამბარაშვილთან ასისტენტის თანამდებობაზე 1916—1918 წ. ქალ. მოსკოვში; პროფ. გ. ეიდელბერგი, რომელიც 1916—1919 წ. მუშაობდა პროფ. გ. გ. ლამბარაშვილთან ასისტენტად რენტგენოლოგიის დარგში; ამჟამად იგი ქ. მოსკოვში მუშაობს; პროფ. ა. აგარონოვი — 1922—1930 წლებში მუშაობდა კათედრის ასისტენტად გ. გ. ლამბარაშვილთან; ამჟამად მუშაობს ქ. ერევანში და განაგებს ერევნის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამეანო-გინეკოლოგიურ კათედრას. პროფ. შ. ზედგინიძე — 1927—1928 წლებში მუშაობდა გ. გ. ლამბარაშვილთან რენტგენოლოგიის ხაზით ორდინატორად; ამჟამად მუშაობს ქ. ლენინგრადში სამხედრო-საზღვაო აკადემიაში რენტგენოლოგიის კათედრის გამგედ.

ვ. დ. კანდელაკი (1886—1950) — მუშაობდა გ. გ. ლამბარაშვილთან ასისტენტის თანამდებობაზე 1931 წლიდან 1939 წლამდე.

ჩამოთვლილ პირთა გარდა, ლამბარაშვილის მოწაფეებიდან სამი მედიცინის დოქტორია და 11 მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. 152 ექიმმა მისი ხელმძღვანელობით გაიარა საორდინატორო სტაჟი კლინიკაში.

გაბრიელ გრიგოლის ძეს ახლო მეგობრობა აკავშირებდა სახელგანთქმულ მებრ-გინეკოლოგ ბორის კონსტანტინეს ძე ლოლობერიძესთან (1884—1954 წ.).

მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ბორის კონსტანტინეს ძე



ლოლბერიძემ ოდესის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა 1908 წ.

1919 წელს ოდესაში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბ. კ. ლოლბერიძე დაბრუნდა სამშობლოში და დაიწყო მუშაობა თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სამედიცინო-გინეკოლოგიურ კათედრაზე. 1930 წ. მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

პროფ. ბ. კ. ლოლბერიძე, გარდა სამედიცინო-გინეკოლოგიური კათედრისა, პროფ. ვლ. ქლენტის სამეცნიერო მივლინებაში ყოფნის გამო. დროებით განაგებდა პათოლოგიური ანატომიისა და სასამართლო მედიცინის კათედრებს.

1932 წლიდან პროფ. ბ. კ. ლოლბერიძე განაგებდა თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარული და პედიატრიული ფაკულტეტის სამედიცინო-გინეკოლოგიურ კათედრას.

1944 წ. პროფ. ბ. კ. ლოლბერიძეს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მის კალამს ეკუთვნის 60 ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის მეანობის სახელმძღვანელო; მის მიერ პირველად ქართულ ენაზე დაიწერა და გამოიცა ოპერაციული მეანობისა და გინეკოლოგიის ორიგინალური სახელმძღვანელო.

პროფ. ბ. კ. ლოლბერიძე დაჯილდოებული იყო მთავრობის მიერ ორდენებითა და მედლებით.

საბჭოთა მედიცინის ორი დიდი თვალსაჩინო წარმომადგენლის—გ. გ. ლამბარაშვილისა და ბ. კ. ლოლბერიძის შეთანხმებულმა მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო როგორც კადრების მომზადებისა და აღზრდის, ისე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საქმეში.

პროფ. ბ. კ. ლოლბერიძე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1954 წლის 21 აპრილს.

* * *

რუსეთიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ ფართოდ გაიშალა გ. ლამბარაშვილის მეცნიერული მუშაობა.

მის კალამს ეკუთვნის 75 მეტი შრომა; მისი შრომები ეხება როგორც ექსპერიმენტული, ისე კლინიკური მეანობის, გინეკოლოგიის, ონკოლოგიის და ფიზიოთერაპიის აქტუალურ

საკითხებს. პროფ. გ. ლამბარაშვილი, როგორც აღვნიშნეთ, ინტენსიურად მუშაობდა ქალის სასქესო სფეროს ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეების საკითხებზე. ამ პრობლემას მან მიუძღვნა 43-ზე მეტი ექსპერიმენტული და კლინიკური შრომა. ამ შრომებიდან მნიშვნელოვანია ექსპერიმენტული გამოკვლევა რენტგენის სხივების გამაღიზიანებელი მოქმედების შესახებ (დაბეჭდილია ჟურნალში „Вестник рентгенологии и радиологии“, 1925 წ.).

გ. ლამბარაშვილი ითვლება სიმსივნეების სხივური ენერგიით მკურნალობის ერთ-ერთ პიონერად არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირში. პირველი შრომა ამ საკითხზე გ. ლამბარაშვილს გამოქვეყნებული აქვს 1914 წელს. შრომის თემას წარმოადგენს „ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეების რენტგენთერაპია“, იგი დაბეჭდილია ჟურნალში „Новое в медицине“ (1914 წ. № 1').


სიმსივნეების შესწავლის საკითხთან განუყრელად არის დაკავშირებული სიმსივნეების სხივური ენერგიით მკურნალობის პრობლემა, რასაც ეხება ავტორი, როგორც ექსპერიმენტული, ისე კლინიკური ხასიათის მთელ რიგ გამოკვლევებში. მათ შორის აღსანიშნავია: „კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეების რადიუმ-რენტგენთერაპია.“ აღნიშნული პრობლემის გაშუქებისას ავტორი ეყრდნობა დიდ მასალას და ცხადპყოფს სხივური ენერგიის მძლავრ თერაპიულ ეფექტიანობას. მაგალითად, საშვილოსნოს ფიბრომიომების დროს, რენტგენთერაპია, უკუზგენებების გათვალისწინებით, იძლევა განკურნების შემთხვევათა თითქმის 100%. იგი ამტკიცებს, რომ საშვილოსნოს კიბოს სხივური ენერგიით მკურნალობის შედეგები არ ჩამოუვარდება ქირურგიული წესებით მკურნალობის შედეგებს. ამასთან ერთად, მრავალი ცდის საფუძველზე, ავტორი იკვლევს რადიუმისა და რენტგენის სხივების ბიოლოგიურ მოქმედებას (ჰისტოლოგიურ ცვლილებებს და სხვა) მკურნალობის პროცესის დროს.

მნიშვნელოვანია გ. ლამბარაშვილის შრომა „О биологическом действии рентгеновских лучей“ (1927). იგი წარმოადგენს მცენარეებსა და ცხოველებზე რენტგენის სხივების




გ. გ. ლამბარაუშვილი თავის სამუშაო კაბინეტში (1940 წ.). მარცხნიდან მარჯვნივ:
გ. გ. ლამბარაუშვილი, ე. დიასამიძე, ა. ალექსიძე და მ. გიგინეიშვილი.





პროფ. გ. გ. ღამბარაშვილი (1954 წ.)



ე. წ. გამალიზიანებელი მოქმედების ექსპერიმენტულ გამოკვლევას და კლინიკურ დაკვირვებას ავადმყოფებზე. ექსპერიმენტში აღნიშნავს ავტორი, ზოგიერთ შემთხვევაში გაშუქების შემდგომ აღვილი აქვს მცენარეთა ზრდის გაძლიერებას, მაგრამ ამ მოვლენის ახსნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გალიზიანების თეორიის საშუალებით.

გ. ღამბარაშვილმა დაამტკიცა, რომ რენტგენის სხივების უმცირესი დოზაც კი ქსოვილის დაზიანებას იწვევს. ამ მონაცემების მიხედვით, საჭიროა შეიქნას რენტგენთერაპიის წესების რევიზია, მეტადრე ქალის სასქესო ორგანოების ანთებითი პროცესების მკურნალობის დროს, დასახელებული ცდების საფუძველზე ავტორი ამტკიცებს, რომ რენტგენთერაპიის გამოყენება ქალის სასქესო სფეროზე ანთებითი დაავადებების დროს, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა მომავალი ორსულობის შესაძლებლობა სრულიად გამორიცხულია, ვინაიდან მცირე დოზებით დასხივების შემდეგ,—საკვერცხეების და კვერცხუჯრედის დაზიანების გამო, ორსულობა შესაძლებელია დამთავრდეს ნაყოფის სიმახინჯით, რაც დამტკიცდა ცხოველებზე ჩატარებული ცდებით.

გ. ღამბარაშვილის კაპიტალური შრომა „საშვილოსნოს ფიბრომიომები“ ეხება ფიბრომიომების ეტიოლოგიას, პათოგენეზს და თერაპიას; შრომა დაწერილია საკუთარი მდიდარი კლინიკური მასალის მიხედვით.

ფიბრომიომების მკურნალობის საკითხზე გ. ღამბარაშვილმა შეან-გინეკოლოგთა მე-8 საკავშირო 1928 წ. ყრილობაზე ქ. კიევში გააკეთა ვრცელი მოხსენება თემაზე „О выборе способа лечения при фибромиомах матки“.

მკურნალობის წესის შერჩევისას საშვილოსნოს ფიბრომიომების დროს გ. გ. ღამბარაშვილი მიდის შემდეგ დასკვნამდე: სიცოცხლისათვის სახიფათო პროფუზული სისხლის დენის დროს აუცილებელია ოპერაცია. თუ ძლიერი სისხლდენის დროს სისხლის დენა მენორაგიული ხასიათისაა და სიცოცხლისათვის საშიში არ არის, დასხივება ამორჩევით მეთოდს წარმოადგენს, მეტრორაგიების დროს კი ოპერაციაა საჭირო,

ვინაიდან რენტგენტერაპია ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს.

შრომაში Ein einfaches Verfahren der künstlichen Scheidenbildung („Zentralbl. f. Gynäcol“, № 43, 1933) გ. გ. ლამბარაშვილმა მოგვაწოდა საშოს ხელოვნურად შექმნის სრულიად ახალი, მარტივი და საიმედო წესი, რომელიც მიღებულია, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში.

მის მიერ აგრეთვე არის აღწერილი სახსრების დაავადება—ართროზი კლიმაქტერიულ ხანაში ენდოკრინული სისტემის წონასწორობის დარღვევის შედეგად. შრომა ამ საკითხზე გამოქვეყნებულია 1928 წ. ამ შრომაში ავტორი განიხილავს კლიმაქტერიული ართროზების დამახასიათებელ სიმპტომოკომპლექსს. ავადმყოფობის საწყისი ემთხვევა კლიმაქტერიულ ან კლიმაქსის შემდეგ პერიოდს. სახსრებში ცვლილებები სიმეტრიულია. აღინიშნება დაავადებული სახსრების ტკივილი და შეშუპება, რენტგენოგრაფიით—თვალსაჩინო გადახრების უქონლობა სახსრების სტრუქტურის მხრივ, ნორმალური ტემპერატურა.

გ. ლამბარაშვილის მიერ დამუშავებული და შემოღებულია საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოს რენტგენტერაპია კუტარის წესით (იხილეთ შრომა: К вопросу о рентгено-терапии рака матки по!способу Coutard'a и гистологических изменениях раковой ткани при облучении этим способом, 1935). გ. ლამბარაშვილმა დაამტკიცა, რომ სხვა წესებთან შედარებით, კუტარის მეთოდი პრინციპულ განსხვავებას არ შეიცავს. კუტარის მეთოდით მკურნალობის დროს კიბოს ქსოვილში ცვლილებების ტემპი გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს. ამ წესს პროფ. გ. ლამბარაშვილი საშვილოსნოს კიბოს მკურნალობის საკითხში სხვა წესებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს. მან დაამუშავა ამ საკითხის შესახებ არსებული როგორც ექსპერიმენტული, ისე კლინიკური მასალა, რაც გამოქვეყნებულია რადიოლოგთა მე-4 საერთაშორისო კონგრესის კრებულში.

უდიდეს ინტერესს იწვევს გ. გ. ლამბარაშვილის ერთ-ერთი ექსპერიმენტული გამოკვლევა, გამოქვეყნებული ფრანგულ

ენაზე 1938 წ.—Sarcoma experimental après l'irradiation par les rayons Roentgen („Journale de Radiologie et d'Electrologie“, t 22, № 4, 1938).

1936 წელს გაბრიელ გრიგოლის ძე რენტგენის სხივებით აზუქებდა ბაჭიის უკანა კილურებს (კვირაში ერთხელ 8 თვის განმავლობაში), რასაც შედეგად მოჰყვა ძვლის სარკომის განვითარება; ეს საბჭოთა კავშირში ამ ხასიათის პირველი ექსპერიმენტი იყო. აღნიშნული ცდის საფუძველზე ლამბარა-შვილმა დაასკვნა, რომ რენტგენის სხივები აღჭურვილია კანცეროგენული თვისებებით და თავისი ხანგრძლივი მოქმედების შედეგად იწვევს კიბოს. როგორც ვხედავთ, ამ დასკვნას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს რენტგენტერაპიისათვის—იგი მიგვითითებს, თუ რა დიდი სიფრთხილეა საჭირო რენტგენით დასხივების დოზირების დროს.

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს პროფ. გ. გ. ლამბარა-შვილის შრომა საშვილოსნოს ქიმიური ექსტირპაციის შესახებ—Chemische Uterusextirpation („Zentralblatt für Gynäkologie“, № 34, 1934), რომელიც ორგინალურია და სრულიად განსხვავდება დრისენისა და აშნერის მეთოდისგან; ამ ორიგინალური მეთოდით საშვილოსნოს კიბოს მკურნალობა საბჭოთა კავშირში პირველად ლამბარაშვილის მიერ იქნა შემოღებული. გ. ლამბარაშვილმა საშვილოსნოს ქიმიური ექსტირპაცია ისეთ შემთხვევებში გამოიყენა, როცა ოპერაციული მკურნალობა ნაჩვენები არ იყო და არც სხივური ენერგია მოგვცემდა შედეგს; ერთ შემთხვევაში მან მიიღო კარგი შედეგი—განკურნებით (დაკვირვების ხანგრძლიობა 8 წელი), ორ შემთხვევაში მიიღო კარგი პირველადი შედეგი, ერთ შემთხვევაში—უარყოფითი შედეგი.

დანამატების ანთებით დაავადებათა რენტგენტერაპიის საკითხზე გ. ლამბარაშვილს გამოქვეყნებული აქვს შრომა 1928 წელს. მის მიერ ჩატარებული იყო დაკვირვება ავადმყოფებზე რენტგენის სხივების მცირე და საშუალო დოზებით მოქმედებისას, აგრეთვე დროებითი კასტრაციის დროს. მიღებული შედეგების საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ დანამატების ანთებით დაავადებათა დროს რენტგენის მცირე


დოზებით დასხივება შთამომავლობისათვის საშიშროების შესაძლებლობისა და მცირე თერაპიული შედეგების გამო, უარყოფილ უნდა იქნეს.

დროებითი კასტრაცია ქრონიკულისა და ქვემწვავე ანთების დროს ძალიან კარგი თერაპიული ეფექტის გამო უფრო მისაღებ წესად უნდა ჩაითვალოს ყველა დანარჩენ ფიზიკურსა და კონსერვატულ მეთოდთან შედარებით. შთამომავლობის დაზიანების შესაძლებლობის და ხანდახან ძლიერ „გამოვარდნის მოვლენათა“ გამო, დროებით კასტრაციას უნდა მივმართოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმის ვითარების გამო (მძიმე აღნეკისტები გონორეის და ტუბერკულოზის ნიადაგზე) ორსულობა მოსალოდნელი არ არის და როდესაც ყველა სხვა კონსერვატული მეთოდებით წამლობა უარყოფითი აღმოჩნდა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გ. ლამბარაშვილის შრომები ტალახის აბაზანებით მკურნალობის საკითხის შესახებ (1925 წ.). ავტორი აღნიშნავს, რომ ქალის სასქესო სფეროს ანთებითი ხასიათის დაავადების დროს სამკურნალო ტალახით წამლობის შედეგები იმდენად კარგია და ეფექტიანი, რომ ბევრი ტალახის სადგური „ქალთა კურორტის“ სახელწოდებას ატარებს.

განსაკუთრებით კარგი შედეგებია მიღებული პერიოოფორიტების, სალპინგოოფორიტების, ენდომეტრიტების, ვაგინიტების, ქრონიკული პელვეოპერიტონიტების, სახსართა რევმატიზმის, ნევრალგიების და ნევრიტების დროს. გ. ლამბარაშვილი დაასკვნის, რომ დადებითი შედეგები ტალახის პროცედურების დროს აიხსნება არა ორგანიზმში შესულ იმ ნივთიერებათა ზეგავლენით, რომელთაც მინერალური ტალახი შეიცავს, არამედ იმ გაღიზიანებით, რასაც ორგანიზმში განიცდის კანთან ტალახის შეხებით განპირობებული რეაქციის შედეგად.

გ. ლამბარაშვილს გამოქვეყნებული აქვს მთელი რიგი შრომები დანამატების ანთებით დაავადებათა დროს ავადმყოფთა მკურნალობის შესახებ დიათერმიის საშუალებით. (1928 წ.). ერთ-ერთ შრომაში ავტორს განხილული აქვს კლინიკური მასალა, რომელიც ეხება დანამატების ქრონიკული




ანთებით შეპყრობილ 1.000 ავადმყოფს. ყველა შემთხვევა შესწავლილია კლინიკურად და ლაბორატორიულად. ავტორი ასკვნის, რომ ქალის სასქესო სფეროს ქრონიკული ანთებითი პროცესების მკურნალობაში, თერმულ მეთოდებს შორის, დიათერმიას სამართლიანად უნდა დაეთმოს პირველი ადგილი.

გ. გ. ლამბარაშვილმა 1929 წელს საქართველოს ექიმთა მეოთხე ყრილობაზე ფაქტიური მასალით დაადასტურა ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობის დროს რადიუმისა და რენტგენის სხივების უპირატესობა ოპერაციასთან შედარებით. თუ მანამდე მთელი რიგი ავტორები ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობის დროს უპირატესობას ანიჭებდნენ ოპერაციას, ახლა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთშიც, რადიუმი და რენტგენი, ოპერაციასთან ერთად, აღიარებულია საიმედო მეთოდად.

გ. გ. ლამბარაშვილს საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობის წესების შერჩევის შესახებ გამოქვეყნებულ შრომაში „О выборе способа лечения при раке шейки матки“ („Журнал для усовершен. врачей“, № 3, 1930 г., Ленинград) მოყვანილი აქვს 5527 შემთხვევის ნაკრები სტატისტიკური მასალა. იგი აღნიშნავს, რომ სხივებით მკურნალობის შემდეგ მიღებულია მყარი განკურნება შემთხვევათა 17,06%-ში, ოპერაციული მკურნალობის შედეგად კი—18,7%-ში. გ. გ. ლამბარაშვილის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 304 ნამკურნალები (რადიუმთერაპიით) ავადმყოფიდან 5 წლის გასვლის შემდეგ ურეციდივო აღმოჩნდა 23,3%-ი; ათი წლის შემდეგ—18,7%. მაშასადამე, საშვილოსნოს ყელის კიბოს შორეული შედეგების აღრიცხვა უნდა წარმოებდეს მკურნალობის დამთავრებიდან 10 წლის შემდეგ.

გ. გ. ლამბარაშვილი კიბოსთან ბრძოლის საქმეში უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა პროფილაქტიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებას. 1953 წელს იგი აღნიშნავდა: „კიბოსთან ბრძოლის საქმე საბჭოთა კავშირში მეტად პერსპექტივიანი გამოდგა ორი აკადემიის გაერთიანებული სესიის შემდეგ, რომელმაც უდიდესი გარდატეხა მოახდინა



მედიცინის ყველა დარგის, კერძოდ, კლინიკური დისციპლინების, შემდეგი განვითარების საქმეში. ავთვისებიან სიმსივნეთა შესწავლა ი. პ. პავლოვის მოძღვრების თვალთახედვით უდიდეს შესაძლებლობას ქმნის კიბოს პრობლემის საბოლოო გადაწყვეტის საქმეში.“

საქართველოში გ. გ. ღამბარაშვილი სამართლიანად ითვლება მშობიარობის გაუტკივარების მეთოდის მასობრივი გამოყენების ერთ-ერთ ინიციატორად. ამ საკითხის შესახებ მას გამოქვეყნებული აქვს მთელი რიგი ექსპერიმენტული და კლინიკური დაკვირვებების შედეგები. საკმარისია დავასახელოთ შესანიშნავად დაწერილი მონოგრაფია რუსულ ენაზე: „Обезболивание родов“ 1938 წ.

საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის ჰიპერპლაზიის კიბოდ გადაქცევის საკითხის ირგვლივ გ. გ. ღამბარაშვილს გამოქვეყნებული აქვს შრომა „К вопросу о гиперплазии слизистой оболочки матки“ (1940 წელი). ამ შრომაში იგი წერს, რომ საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის ჰიპერპლაზია და ადენოკარცინომა სულ სხვადასხვა ეტიოლოგიის დაავადებებს წარმოადგენს. კლინიკური და ჰისტოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე გ. ღამბარაშვილი აღნიშნავს: „ჩვენს მასალაზე საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის ჰიპერპლაზიის 124 შემთხვევიდან 101 შემთხვევაში (მკურნალობის შორეული შედეგები არ იქნა გამოკვლეული 23 ავადმყოფზე) არც ერთხელ არ იქნა აღმოჩენილი საშვილოსნოს ტანის კიბო (დაკვირვებები 1—12 წლამდე).“

ამ მონაცემების საფუძველზე გ. გ. ღამბარაშვილი ასკვნის, რომ „საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის ჰიპერპლაზია არ შეიძლება ჩაითვალოს საშვილოსნოს ტანის კიბოს წინამორბედად.“

გ. გ. ღამბარაშვილს გამოქვეყნებული აქვს ექსპერიმენტული და კლინიკური ხასიათის რამდენიმე შრომა მენსტრუალური ციკლის შესწავლის მიზნით. ერთ-ერთი მათგანია „О так называемом фолликулярном цикле“ (1937 წ.). ავტორი კლინიკური და მორფოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ მიუხედავად რეგულარუ-



ლად მიმდინარე მენსტრუაციისა, ეგრეთ წოდებული ფოლიკულური ციკლი არ არსებობს ოვულაციის გარეშე. შემდეგ გამოკვლევებში ეს დებულება მის მიერ შესწორებულია.

შემდეგი შრომა „К вопросу о ановуляторных кровотечениях при бесплодии“ („Акушерство и гинекология“, № 5, 1953) გ. ლამბარაშვილმა და ნ. ჯავახიშვილმა აწარმოეს საშვილოსნოს ღრუს გამონაჟხეკის მორფოლოგიური შესწავლა უნაყოფობის დროს საკმაოდ დიდ კლინიკურ მასალაზე.

ავტორების დასკვნით, ანოვულატორული ციკლი არის უნაყოფობის ერთ-ერთი მიზეზი.

საშვილოსნოს დევიაციების საკითხზე გ. გ. ლამბარაშვილს გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე შრომა. ერთ-ერთ შრომაში სათაურით „О девиациях и выпадениях матки“ (Труды 2-го Закавказского съезда акушеров и гинекологов (1936 წ.) შესწავლილი აქვს საშვილოსნოს რეტროდევიაციების და გამოვარდნის 971 შემთხვევა. პირადი მასალის საფუძველზე ავტორი დაასკვნის: „საშვილოსნოს გამოვარდნის შემთხვევებში ოპერაციულ წესებს შორის არ არსებობს ამორჩევითი მეთოდი, ე. ი. ისეთი წესი, რომელიც უპირატესია სხვა წესებთან შედარებით, არამედ არის რამდენიმე მეთოდი ერთნაირი ღირებულებისა, რომელნიც იძლევიან ერთნაირ კარგ შედეგებს.“

გ. გ. ლამბარაშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მთელი რიგი ორიგინალური გამოკვლევები კეთილ და ავთვისებიან სიმსივნეთა ეტიოპათოგენეზსა და მკურნალობაზე, როგორც სხივური, ისე ოპერაციული მეთოდებით, შეანობისა და გინეკოლოგიის აქტუალური საკითხების და სამშობიარო დახმარების ორგანიზაციის შესახებ.

გაბრიელ გრიგოლის ძეს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის თარგმნილი სამედიცინო ლიტერატურის შექმნაში. მისმა კლინიკამ თარგმნა და სტუდენტობას ქართულ ენაზე მიაწოდა კიუსტნერის გინეკოლოგიის სახელმძღვანელო, რომლის რედაქტორიც გ. ლამბარაშვილი იყო. მისივე მონაწილეობით გამოვიდა რუსულ ენაზე ცნობილი გინეკოლო-3. ლამბარაშვილი



გის — კ. სკრობანსკის გინეკოლოგიის სახელმძღვანელო, სადაც მას ეკუთვნის თავი „Рентгенотерапия в гинекологии“.


გ. გ. ლამბარაშვილმა 1941 წელს საკუთარ მდიდარ პედაგოგიურ, პრაქტიკულ და სამეცნიერო გამოცდილებაზე დაყრდნობით, ექიმთათვის და სტუდენტებისათვის გამოსცა გინეკოლოგიის სახელმძღვანელო, რომელიც შედგენილი იყო მაშინდელი სასწავლო პროგრამის მიხედვით და რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

გაბრიელ გრიგოლის ძე აქტიურად და სისტემატურად მონაწილეობდა მეანობა-გინეკოლოგიისა და ონკოლოგიის ყველა პერიოდულ საბჭოთა გამოცემაში. იგი მონაწილეობდა აგრეთვე საზღვარგარეთის ჟურნალებშიც.

გ. გ. ლამბარაშვილის ხელმძღვანელობით მის კლინიკაში შესრულებულია 500-ზე მეტი სამეცნიერო შრომა—აქედან 7 სადოქტორო, ხოლო 11 საკანდიდატო დისერტაცია. გ. გ. ლამბარაშვილის დვაწლი ამ მეცნიერული შრომების შესრულებაში განუზომლად დიდია; ყოველი შრომა მრავალჯერ არის მის ხელში გავლილი, დაწყებული რეფერატიდან და გათავებული სადოქტორო დისერტაციით. ამ საქმეს იგი დიდ დროს ანდომებდა, — იძლეოდა საქმიან რჩევა-დარიგებასა და მითითებას, იგი ენერგიას არ ზოგავდა დახმარებოდა მომავალ მეცნიერ-მუშაკებს, ყოველმხრივ ხელს უწყობდა მათ ზრდა-განვითარებას და უზიარებდა თავის ნდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას.

გ. გ. ლამბარაშვილის კლინიკიდან გამოსული მეცნიერულად და პრაქტიკულად დავაჟკაცებული მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები ამდიდრებენ სამეანო-გინეკოლოგიურ მეცნიერებას და მაღალკვალიფიციურ დახმარებას უწევენ ჩვენი ქვეყნის ქალებს. ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისა, ჯანმრთელობისა და განათლებისათვის. პროფ. ლამბარაშვილის ბევრი მოწაფე ამჟამად თვით ხელმძღვანელობს კლინიკებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს.

1921 წლიდან 1939 წლამდე და 1945 წლიდან 1951 წლამდე (ჩათვლით)—თავისი ნაყოფიერი მუშაობისა და აკადემი-




საქართველოს სსრ ჯანბრუნების დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის
სამეცნიერო - ცვლიებითი ინსტიტუტის შენობა, სადაც მუშაობდა პროფ. გ. გ. ლამბარაშვილი
192) წლიდან 1950 წლამდე.





პროფ. ი. ე. თიკაძე
(1868 — 1943)



ური მოღვაწეობის საუკეთესო წლები გ. გ. ლამბარაშვილმა გაატარა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

იგი ძლიერ იყო გატაცებული ამ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმეებით და იქ მუშაობით, სადაც ერთ ხანს განაგებდა დედათა სექტორს. 1939 წლიდან 1941 წლამდე სამეანო-გინეკოლოგიური კათედრა იმყოფებოდა ქ. თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მესამე სამშობიარო სახლის ბაზაზე. დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ—1941 წელს, სამეანო-გინეკოლოგიური კლინიკა გადატანილ იქნა რკინიგზის სამეანო-გინეკოლოგიურ განყოფილებაში. დიდი სამამულო ომის პერიოდში კათედრა გ. გ. ლამბარაშვილის ხელმძღვანელობით ეწეოდა მეტად დაძაბულ მუშაობას, მუშაობა გარდაიქმნა ომის მოთხოვნების შესაბამისად, გადიდდა სტუდენტთა კონტინგენტი და დიდი ენერგია იყო საჭირო, რომ სტუდენტთა ასეთ დიდ რაოდენობას ნორმალურ პირობებში ჩაეტარებინა მუშაობა; ყოველივე ეს კათედრამ შეასრულა. გარდა ამისა, კათედრას არ შეუწყვეტია სამეცნიერო მუშაობაც.

* * *

გ. ლამბარაშვილის მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობით, იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სხვადასხვა საექიმო დაწესებულების სამკურნალო საქმიანობაში. წლების მანძილზე ის იყო სამეანო-გინეკოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარედ.

1936 წ. მას ირჩევენ კიევისა და ხარკოვის ექიმთა საზოგადოების საპატიო წევრად. 1950 წ. ის არჩეულ იქნა მოსკოვის სამეანო-გინეკოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრად. იგი იყო წევრი მეან-გინეკოლოგთა და რენტგენოლოგ-რადიოლოგთა საკავშირო ყრილობის მუდმივი საორგანიზაციო ბიუროსი; მისი უშუალო ინციატივით და თავ-



მჯდომარეობით ჩატარდა ამიერკავკასიის მეან-გინეკოლოგთა ყრილობები. იგი იყო ფიზიოთერაპიული ინსტიტუტის კონსულტანტი, სპეცსამკურნალო კომბინატის გინეკოლოგიური განყოფილების გამგე, ონკოლოგიური საავადმყოფოს განყოფილების გამგე; მთელი რიგი ქალთა კონსულტაციები მიმართავდნენ მას საკონსულტაციოდ. 6 წლის განმავლობაში იგი ითვლებოდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამშობიარო დახმარების კომისიის თავმჯდომარედ.

* * *

გაბრიელ გრიგოლის ძე სამეცნიერო მიზნით ორჯერ იყო მივლინებული საზღვარგარეთ—1925 წელს გერმანიასა და საფრანგეთში და 1928 წელს—რადიოლოგთა მეორე მსოფლიო კონგრესზე სტოკჰოლმში, როგორც ოფიციალური დელეგატი საბჭოთა კავშირიდან.

სტოკჰოლმში ის ორგინალური მოხსენებით გამოვიდა საშვილოსნოს კიბოს სხივური ენერგიით მკურნალობის საკითხზე. მოხსენება მან წაიკითხა ინგლისურ ენაზე. აღსანიშნავია, რომ გ. ლამბარაშვილმა კარგად იცოდა ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენები. ამავე კონგრესზე ის აირჩიეს გინეკოლოგიური და ონკოლოგიური სექციის თავმჯდომარედ.

გ. ლამბარაშვილი მარტო თავისი სპეციალობით როდი იყო დაინტერესებული. მას ჰქონდა არა მარტო დიდი სამედიცინო, არამედ ყოველმხრივი ფართო განათლება. იგი მეტად დაინტერესებული იყო მხატვრული ლიტერატურით, საერთოდ ხელოვნებით, ისტორიით.

იგი ყოველდღიურად ადევნებდა თვალყურს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას. გასაოცარი ენერგიით და მონდომებით ეუფლებოდა მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებს და მუშაობდა თავისი იდეურ-პოლიტიკური ცოდნის გაღრმავებისათვის,

გ. ლამბარაშვილის შრომა სათანადოდ იქნა შეფასებული პარტიისა და მთავრობის მიერ. 1941 წელს მას მიენიჭა

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1946 წელს იგი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1954 წელს — ლენინის ორდენით.

* * *

როგორც ზემოთ ვთქვით, გ. ლამბარაშვილი დაბრუნდა თუ არა მოსკოვიდან საქართველოში 1920 წელს, თავისი მოღვაწეობა დაიწყო უნივერსიტეტში, — მაშინ ის 42 წლისა იყო. განვლო თითქმის 33 წელმა და 1953 წლის 16 მაისს მხცოვან მეცნიერს, უკვე 75 წლისას, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა საზოგადოებამ გაუმართა 45 წლის სამეცნიერო, საექიმო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შენობაში.

გ. ლამბარაშვილის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამ ნარკვევის ავტორი, რომელიც დაწვრილებით შეჩერდა გამოჩენილი მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

საიუბილეო სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის სამედიცინო და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენელნი, რომელნიც ერთხმად აღიარებდნენ გაბრიელ გრიგოლის ძის ხანგრძლივი მოღვაწეობის დიდ მნიშვნელობას. სხდომაზე მისალმებით გამოვიდნენ მხცოვანი მეცნიერის მოწაფეები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან, წაკითხულ იქნა აგრეთვე იუბილარის სახელზე გამოგზავნილი მისალლოცი დეპეშები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ოდესიდან, ხარკოვიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან. იუბილარის სახელზე სულ მიღებულ იქნა ოთხასამდე მისალლოცი დეპეშა და ორგანიზაციების და სამეცნიერო დაწესებულებების მიერ ათეული ადრესები.

სახელმძღვანელო პროფესორები, მეცნიერები და სამედიცინო ორგანიზაციები თავიანთ დეპეშებში გულთბილად, პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებდნენ იუბილარს და აღნიშნავდნენ მის დიდ ღვაწლს.

მისაღმებათა შემდეგ გაბრიელ გრიგოლის ძემ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას. მისდამი პატივისცემა და სიყვარული ხალხმრავალმა დარბაზმა მხურვალე ტაშით გამოხატა.

* * *

საიუბილეო ზეიმის შემდეგ გაბრიელ გრიგოლის ძეს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი დაავადდა ფილტვების კიბოთი და გარდაიცვალა 1954 წლის 18 ივლისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 76 წლის ასაკში.

1954 წლის 22 ივლისს მხცოვანი მეცნიერის და თავის ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი მოღვაწის გ. ლამბარაშვილის ცხედარს ვაკის სასაფლაოსაკენ მიაცილებდა სამგლოვიარო პროცესია. მისი ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები, თანამოსამსახურენი, მოწაფეები, რომელთა შორის იყვნენ სტუდენტები და ხანში შესული დამსახურებული პროფესორები.

ხალხმრავალი პროცესიის წინაშე სასაფლაოზე წარმოთქმულ იქნა რამდენიმე გულთბილი სიტყვა სამეცნიერო-საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა და გ. ლამბარაშვილის მოწაფეთა მიერ.

გ. ლამბარაშვილმა მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე, დაუცხრომელი მეცნიერული, პედაგოგიური, საექიმო და საზოგადოებრივი მუშაობა მოახმარა საბჭოთა მედიცინის აყვავების საქმეს, ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას, კადრების აღზრდას, რითაც სამუდამო ხსოვნა დაიმსახურა.

გაბრიელ გრიგოლის ძის 45 წლის ნაყოფიერი მოღვაწეობა საუკეთესო ანდერძია მისი მოწაფეებისათვის და მისაბაძია თვითეული მეან-გინეკოლოგისათვის.





გაბრიელ ლავბარაშვილის შრომების სია

ქართულ ენაზე

- რენტგენის სხივების ბიოლოგიური მოქმედების შესახებ. „თანამედროვე მედიცინა“, № 12, 1952 წ.
- რენტგენის სხივების ე. წ. გამაღიზიანებელი მოქმედების შესახებ. „თანამედროვე მედიცინა“, № 9, 1925 წ.
- ტალახის აბაზანებით მკურნალობის საკითხისათვის. „თანამედროვე მედიცინა“, № 5, 1925 წ.
- გინეკოლოგიის სახელმძღვანელო. კიუსტნერის თარგმანი გერმანულიდან. (რედაქცია), 1926 წ.
- სამი იშვიათი შემთხვევის შესახებ. „თანამედროვე მედიცინა“, № 9—10, 1926 წ.
- შთაბეჭდილებანი პარიზის და გერმანიის კლინიკების შესახებ. გინეკოლოგიური კლინიკის სამეცნიერო კონფერენციების ოქმები. თბილისი, 1928 წ.
- ორსული ქალის სისხლის შრატის თავისებურების შესახებ. იქვე.
- დანამატების ანთებითი დაავადებების მკურნალობის შესახებ. იქვე.
- საშვილოსნოს ქიმიური ექსტირპაცია. იქვე.
- დანამატების ანთებითი დაავადებების რენტგენოთერაპია. საქ. ჯანდაცვის მოამბე. № 1 1928 წ.; თბილისი.
- დანამატების ანთებითი დაავადებების დიათერმიით მკურნალობის შესახებ. „თანამედროვე მედიცინა“, № 1—2, 1928 წ., თბილისი.
- საშვილოსნოს ფიბრომის დროს მკურნალობის წესის ამორჩევის შესახებ. თბილ. უნივერსიტეტის მოამბე, IX 1929 წ.
- ავთვისებიანი სიმსივნეების ეტიოლოგია. მონოგრაფია. 1930 წ., თბილისი.
- კიბოს სტატისტიკა, ეტიოლოგია და პროფილაქტიკა. მონოგრაფია. 1935 წ.
- კიბო და მასთან ბრძოლა. „საბჭოთა მედიცინა“, № 11, 1938 წ.
- გინეკოლოგია. სახელმძღვანელო. 1941 წ., თბილისი.
- მენსტრუალური ანომალიები. თბილ. მედინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1948 წ.
- საშის ნაცხის ციტოლოგიური სურათი. იქვე, 1952 წ.



- К вопросу о влиянии экстракта яичников на сосудистую систему и его отношение к *gl. thyreoidea*. Диссертация, Москва, 1912 г.
- О влиянии экстракта яичников на органы кровообращения (Доклад на IV съезде Российск. гинекол. и акуш. Петербург, 1911 г.) Акушерство и женские болезни, 1913 г.
- 1911 г.) Акушерство и женские болезни, 1913 г.
- Рентгенотерапия доброкачеств. и злокачествен. опухолей (Доклад на I-м Всерос. съезде по борьбе с раков. заболеван.). Новое в медицине, № 14, 1914 г.
- Рентгенотерапия злокачественных и доброкачественных опухолей. Труды I-го Всерос. съезда по борьбе с раковыми заболеваниями, Петроград, 1915 г.
- К вопросу о так называемом раздражающем действии рентгеновских лучей. Вестник Рентген и Радиологии, том, III, вып. 6, 1925 г., Ленинград.
- Рентгенотерапия воспалительных придатков. Труды I-го Всесоюзного съезда физиотерапевтов, Ленинград. 1925 г.
- Фибромиомы матки и их лечение. Монография, Тифлис, 1926 г.
- О лечении диатермией воспалительных заболеваний придатков. Акушерство и женские болезни, Ленинград, 1927 г.
- О биологическом действии рентгеновских лучей. Мед. вестник, сентябрь, октябрь, 1927 г.
- К вопросу о климактерических артрозах. Журнал для усовершен. врачей, № 3, 1928 г. Ленинград.
- О выборе способа лечения при раке шейки матки. Журнал для усовершен. врачей, № 3, 1930 г., Ленинград.
- О выборе способа лечения при фибромиомах матки. Труды VIII Всесоюзн. съезда акуш. и гинекол., 1930, Киев.
- Временная рентгенокастрация, как способ лечения воспалительных заболеваний женской половой сферы. Там же.
- К вопросу о лечении хронических воспалительных заболеваний придатков матки. Труды I-го Закавказского съезда гинекологов и акушеров, Тбилиси, 1931 г.
- К вопросу о климактерических артрозах. Acta Rheumatologica, Вып. I, Тифлис, 1934 г.
- К вопросу о климактерических артрозах. Клиническая медицина, № 7, 1934 г. Москва.
- К вопросу о рентгенотерапии рака матки по способу Кутара. Вопросы онкологии, VII, 1935, Харьков.



Диагностика и терапия гинекологических кровотечений. Труды IX Всесоюзн. съезда гинекологов и акушеров, 1935 г., Москва.

О девиациях и выпадениях матки. Труды 2-го Закавказск. съезда акушеров и гинекологов, Ереван, 1937 г.

К вопросу об обезболивании родов. Там же.

О так называемом фолликулярном цикле. Акушерство и гинекология, № 3, 1937.

Доброкачественные опухоли матки. Акушерство и гинекология, № 11, 1937 г.

Маточные кровотечения эндокринного характера и их консервативное лечение. Советская медицина № 8, 1939 г. Москва.

Рентгенотерапия в гинекологии, отдельная глава в руководстве по гинекологии акад. К. К. Скробанского, 1938 г. Москва-Ленинград.

Этиология и патогенез злокачественных опухолей. Монография, 1945.

Аменорея военного времени (Рукопись), 1944 г.

20 лет советской науки в Грузии. Отд. глава «Медицина», изд. Академии наук Грузинской ССР.

Сексуальные гормоны и рак. Доклад на научной сессии Тбилисского Мединститута, 1944 г.

Состояние родовспоможения в Грузинской ССР. Доклад на I-м Объединенном Пленуме Совета НК Здрава СССР и НК Здрава РСФСР по родовспоможению и гинекологической помощи. 28—30—IX, 1944 г., Москва.

Лечение послеродового сепсиса. Доклад на Научной сессии Научно-исследов. института акуш. и гинекологии. 1—2, X, 1944 г.

Совместно с действительным членом Академии наук Груз. ССР А. Н. Натишвили. Глава «Медицина» в Юбилейных трудах Академии наук Грузинской ССР.

О состоянии гинекологической помощи в Грузии. Доклад на II пленуме родовспоможения и гинекологической помощи, Москва (рукопись).

Сравнительная оценка результатов хирургического и лучевого лечения рака матки. Доклад на Закавказской конференции, 1948 г. (рукопись).

Организация борьбы с внебольничными абортами в Грузинской ССР. Там же.

- Рентгенотерапия фибромиомы матки. Советская медицина, № 4, 1948 г.
- К вопросу о гиперплазии слизистой оболочки матки. Тезисы Всесоюзн. научн. совещания онкогинекологов 1953 г., 27—30 мая.
- К вопросу о ведении родов методом Цовьянова при тазовом предлежании. 1950 г.
- Обезболивание родов. Монография, Тбилиси, 1938 г.
- К вопросу об ановуляторных кровотечениях при бесплодии. Журн. Акушерство и гинекология, № 5, 1953 г.

უცხო ენებზე

- Über Aneurysma der Aorta, Zieglers Beiträge, Bd 39. 1906.
- Untersuchungen über hämatogene Siderosis der Leber. Virchows Archiv., Bd 188, 1907.
- Die Diagnose der bösartigen Neubildungen und der Schwangerschaft mittels der Abderhaldenschen Methode. München. med. Wochenschr., № 30, 1913.
- Die Vaccinotherapie der Adnexentzündungen. Monatschr. f. Geburtshil. und Gynäcol. Bd. XVI. 1925.
- Künstliche Scheidenbildung nach Baldwin bei angeborenem Scheidendefekt Monatschr. f. Geburtsh. und Gynäcol. Bd. XXVIII. 1928.
- 13 Jahre Strahlenbehandlung der Uteruskarcinoma. Strahlentherapie Bd. 30, 1928.
- Sur la question de la Greffe homoplastique ovariene. Gynecologue et Obstetrique XX № 6. 1929. Paris.
- Zur Strahlenbehandlung der Uterusmyoma. Strahlentherapie, Bd. 32. 1929.
- Zur Frage der Behandlung entzündlicher Adnexerkrankungen. Zentralblatt für Gynäcolog. № 32.
- Zur Frage der hystologischen Veränderungen des Karcinomgewebes nach Strahlenbehandlung. Strahlentherapie Bd. 41. 1931.
- Ein einfaches Verfahren der künstlichen Scheidenbildung. Zentralbl. f. Gynäcol. № 43. 1933.



Chemische Uterusextirpation. Zentralblatt für Gynäkologie
№ 34. 1934.

Zur Frage der histologischen Veränderungen des Karzinomgewebes nach Goutard — Schinzscher Bestrahlungsmethode des Uteruskrebses IV Internationaler Radiologenkongress Bd 11. 1934. Zürich.

Le traitement des hemorrhagies gynecologiques. Gynecologie et Obstetrique t 33. № 3. 1936.

Indikations und Behandlungsmethode der Strahlentherapie der Uterusmyome. Strahlentherap. Bd 56. 1936.

Zur Frage der Karzinombestrahlungen nach Coutard—Methode. Fortschr. auf d. Gebiete der Röntgenstrahlen Bd. 53. 1936.

Sarcome experimental après l'irradiation par les rayons Roentgen. Journal de Radiologie et d'Electrologie, t 22, № 4, 1933.





МИХАИЛ САМСОНОВИЧ ГИГИНЕЙШВИЛИ

ГАВРИИЛ ГРИГОРЬЕВИЧ ГАМБАРАШВИЛИ

(На грузинском языке)

ГРУЗМЕДГИЗ

ТБИЛИСИ

1955

რედაქტორი პროფ. პ. შუშანია
ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი

გადაეცა წარმოებას ასაწყობად 28/IV—55 წ. ხელ-
მოწერილია დასაბეჭდად 30/V—55 წ. ანაწყობის ზომა
5,5×9. ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂. ნაბეჭდ ფორმა-
თა რაოდენობა 2,97 სააღრიცხვო ფორმათა რაოდენ-
ობა 2,35 შეკვ. № 482 ტირაჟი 3000. უე 039211

ფასი 1 მან. 75 კაპ.

საქართველოს სსრ სამედიცინო გამომცემლობა
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 26

საქმედგამის სტამბა, თბილისი, მედქალაქი

8260 1 826. 75 333.

